საქართველოს მთავრობის განკარგულება

№913 2016 წლის 24 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებისათვის საჭირო ზოგიერთი საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებისათვის საჭირო მომსახურებისა და საქონლის შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი